

86 წელი თქვენთან ერთად!

86 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს გამოვიდა გაზეთების „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედის, გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომერი. გამოცემის 87-ე წელი.



„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

სახოგადოებრივი გაზეთი • გამოდის 1933 წლიდან • №4 {7009} 17 თებერვალი 2020 წელი • www.Terjola.gov.ge

სიტყვა მოსახლეობას...

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ - 2020

ჩვენი გაზეთის წინა, 2020 წლის 3 თებერვლის ნომერში (№3) ვწერდით, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტში, აქტიურად დაიწყო მუშაობა მიმდინარე წლის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ წარმატებით განსახორციელებლად.



„არ დაგახრჩოთ გაზის სუნმა“

სოფელ გოგნში, მოსახლეობის კრებაზე, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ განსახორციელებელი პროექტების შერჩევას კამათი და აზრთა სხვადასხვაობა არ მოჰყოლია. კრების ყველა მონაწილემ, ერთადერთ პროექტს დაუჭირა მხარი—გამოყოფილი 16 ათასი მთლიანად გარე განათების მოწყობას მოხმარდება.



იმ დღეს ერთსულოვნები და გახარებულები იყვნენ გოგნელები. საამისო მიზეზიც ჰქონდათ—16 ათასს, საერთო საქმეს მოახმარენ, გაზის მილები და ყველაფერი, რაც გაზიფიცირებისათვისაა საჭირო, სწორედ იმ დღეს შემოიზიდა. რამდენიმე თვეში ცისფერი ალი აინთება ყოველი გოგნელის ოჯახში. ვერავენ იტყვიან „არ დაგახრჩოთ გაზის სუნმა“—ერთეული გოგნელის სკეპტიკური ნათქვამი გაიხსენა თერჯოლის საკრებულოში სოფლის მაჟორიტარმა დეპუტატმა დავით ისაკაძემ.

გოგნელი მოსახლეობის დიდი ნაწილი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის გამო, რომ იყო შეკრებილი, ძლივს შემოიყვანა პატარა დარბაზში მერის წარმომადგენელმა დავით რობაქიძემ, ისინი გაზის მილებით დატვირთულ მანქანებს ვერ ტოვებდნენ, მსჯელობდნენ, ერთმანეთს აზრს უზიარებდნენ. ამასობაში, პირდაპირ თბილისიდან მუნიციპალიტეტის მერი ბონდო სოფრომაძეც მოვიდა და კრებაც დაიწყო.

კარგი ამბები მოიტანა ბატონმა ბონდომ. ჩვენი მუნიციპალიტეტის მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების ერთი ნაწილი „გაამყლავ-

ნა“, ნაწილი—არა. ასპროცენტისი გარანტიების მოყვარული მერი სოფელში, მოსახლეობის დასახმარებლად ახალი დაპირების გაცემას მოერიდა. მაინც ითქვა, რომ აქტიურად იმუშავენ სხვადასხვა პროექტი, რომლებიც უკვე დამტკიცებულია. მერმა მოუბოდიშა ერთ ქალბატონს, რომლის სახლის აშენების ვადამ გადაინია—ორი სახლი ავეშენეთ ორ ოჯახს, მესამე თქვენი იქნებაო.

სამი წელი გავიდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებიდან, მერი კი კვლავ და კვლავ იხდის მადლობას მოსახლეობის მაღალი ნდობის გამო. „თქვენი ვალდებულება იყო აგერჩიეთ, ან არ აგერჩიეთ, ამირჩიეთ და ახლა ჩემი ვალდებულებაა გემსახუროთ“—უთხრა მან შეკრებილთ და პირველ რიგში მჯდომმა კრების ერთმა მონაწილემ თავისთვის, მაგრამ ხმადასმულა ჩილაპარაკა „შენ გეხუტუნო“. „გეხუტუნეს“ თხოვნაც მოჰყვა „პატარა კლუბიო“—„შეამსუბუქა“ თხოვნა. მას მხედველობაში ჰქონდა თავშეყრის ადგილის მოწყობა.

გოგნის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი გადმოჰყურებს გოგნს. მთელი წლის მანძილზე აქ არ ილევინა მომლოცველი, 6 მაისს და 23 ნოემბერს კი მთელი საქართველო იკრიბება... ეს კი დამატებითი „მიზეზია“ უფრო მეტი გაკეთდეს ამ მთიან და ძირძველ სოფელში... გზა, წყალი, განათება, გაზი, ინტერნეტი... ყველაფერი ხომ ბოლო



წლებში და მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მხარდაჭერით გაკეთდა და კეთდება აქ...

შუშუნა ცხადაძე

მინა-სამშობლოს ტოლფასი

8 თებერვალს, მართლმადიდებლურმა ეკლესიამ, სრულიად საქართველომ აღნიშნა წმინდანად შერაცხული მეფის, დავით აღმაშენებლის ხსენების დღე. ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში სწორედ მეფე დავით IV აღმაშენებელს უკავშირდება იმ ეპოქისათვის საქართველოს, როგორც სახელმწიფოს გაძლიერება რეგიონის უმეტეს სივრცეში.



„ვაჰ, დრონი, დრონი“...
ანუ
როდის იყო საქართველო ყველაზე დიდი ტერიტორიის პატრონი
(იხ. გვ.7)

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში



6 თებერვალს გაიმართა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელმაც განიხილა 2 საკითხი.

—„თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის №45 / 358 წერილი, 05.02.2020).



—„თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარების 2020 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 22 იანვრის №46 15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

☞ 2,4,5

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2020 წლის სოციალური პროგრამები

☞ 4,5

თებერვალმა „დაუბერა“, ალბათ მარტიც „იმარტებს“...

☞ 8

თებერვალმა „დაუბერა“, ალბათ მარტიც „იმარტებს“...

ჩვენ და ზამთარი



მრავალწლიანი შესვენების შემდეგ—12, 13 და 14 თებერვალს კვლავ გვესტუმრა ბუნების თეთრი დედოფალი—თოვლი, თანაც ხვავიანად. გილოცავთ ყველას, განსაკუთრებით პატარებს, აგრერივად რომ გაიხალისეს. მოხუცებსაც ვულოცავთ, იმედი რომ ჰქონდათ გადანურული—„შეიცვალა ბატონო ყველაფერიო“, რომ ნუნუნებდნენ...

უცებ გამოცოცხლდა დედაბუნება, გარეთ გამოეფინა დიდი და პატარა...

თოვლმა, როგორც ყოველთვის, საზრუნავიც მოიყოლია... იქ ტრანსპორტს შეექმნა პრობლემა, აქეთ დამხმარე შენობა-ნაგებობები გახდა გადმოსათოვლი, ხე-მცენარეები ჩამოსაბერტყი, მოსწავლეების ტრანსპორტირება, საბავშვო ბაღები...

ახლაც იყო შეფერხებები, მაგრამ ბევრად ნაკლები, ვიდრე სხვა დროს... მაგრამ მასაც დაეუხვდით...

მუნიციპალიტეტის მერიამ მაქსიმუმი გააკეთა, რომ ქალაქისა და სოფლის მოსახლეობამ ჩვეული რიტმით განაგრძოს ყოველდღიური ცხოვრება...

სადღელამისო რეჟიმში მუშაობდა მერიის საგანგებო შტაბი, მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე გაინმინდა სასოფლო თუ სხვა მნიშ-

ვნელობის საავტომობილო გზები, ენერგეტიკოსებმა ოპერატიულად აღმოფხვრეს ენერგოქსელში მომხდარი დაზიანებები...

მუნიციპალიტეტის მერი ბონდო სოფრომაძე 13 თებერვალს თერჯოლის ყველაზე მაღალმთიან სოფლებში იმყოფებოდა, რათა პირადად გაეცნობოდა უხვი თოვლის გამო შექმნილ ვითარებას. „თოვლს სერიოზული პრობლემა არ შეუქმნია. გზის განმენდის სამუშაოები დილიდანვე დაიწყო. ასევე, მთელი დღის განმავლობაში, ინტენსიურად მიმდინარეობს სამუშაოები ელექტროენერჯის მიწოდებაში შექმნილი პრობლემების აღმოსაფხვრელად. ამ დროისათვის ენერჯია ყველა ადმინისტრაციულ ერთეულს მიწოდება, თუმცა დარჩენილია უბნები, სადაც რთული დაზიანების გამო კვლავ გრძელდება აღდგენითი სამუშაოები. ბუნებრივი აირი კი უწყვეტ რეჟიმში მიწოდება მოსახლეობას“—განაცხადა ბონდო სოფრომაძემ.

ამჟამად, მოსახლეობას ელექტრონიც მიწოდება, გაზიც, წყალიც. ჩვეულებრივ რიტმში მუშაობენ პურის საცხობები, სასურსათო და სხვადასხვა სამეურნეო საქონლის მაღაზიები.

თებერვალმა „დაუბერა“, ვნახოთ რას გვპირდება მარტი...



<p>შპს „თერჯოლა“</p> <p>გამომცემელი მთავარი რედაქტორი ვალერიან ბოზიაშვილი ლავით კლდიაშვილი</p> <p>599 92 49 75 599 91 24 14</p> <p>სარედაქციო კოლეგია</p> <p>რეგისტრაციის №53/5/ბ-22 გამოსვლის თვეში ორჯერ</p>	<p>კორესპოდენტები:</p> <p>ნ. გამყრელიძე—555 78 08 55 ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16 შ. ცხადაძე—558 90 82 55 მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41</p> <p>ელ-ფოსტა: gazetiterjola@mail.ru</p>	<p>აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში</p> <p>მისამართი: თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2 დაბეჭდა ქუთაისის შპს „სომლი ენ“-ის სტამბაში ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33</p>	<p>ჩვენი რეკვიზიტები: „ლიბერთი ბანკი“ LBRTGE22, ანგარიში GE32LB0113133960124000 ს/კ 231948872</p>
--	--	--	--